პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 163 (11167) | პარასკევი, 18 ივლისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანიდან.

საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

მთელი საბჭოთა ხალხი აღშფოთებით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივ აგრესიას არაბთა ქვეყნებში

★ ★ ★ ★ ★ ★

ხ ე ლ ე ბ ი შ ო რ ს!

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში. დეპეშათა სააგენტოები იტყობინებიან, რომ გრძელდება ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმა ბეირუთში და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები ჩადიან ლიბანში. მთელი მსოფლიოს თვალწინ ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების უაღრესად უხეში სამხედრო ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში.

როგორც აღნიშნულია დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, „ამერიკის ჯარების გადასხმა ბეირუთში წარმოადგენს შეიარაღებული ინტერვენციის აქტს არა მარტო ლიბანის მიმართ, არამედ აგრეთვე ყველა თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხის მიმართ“.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა, რომლებსაც მხარს უჭერენ დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, მოიხსნეს ნიღაბი და დაიწყეს აშკარა აგრესია თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხების წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ რატომ არ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საბჭოთა მთავრობის 1957 წლის 11 თებერვლის წინადადება ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში დიდ სახელმწიფოთა ჩაურევლობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა ეკისრა ვალდებულება, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა მშვიდობის დაცვასა და დაძაბულობის შენელებას დედამიწის ამ რაიონში. მას სურდა ხელგახსნილი ყოფილიყო თავისი აგრესიული მოქმედებისათვის არაბთა აღმოსავლეთში. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას და შეიცავს მეტად დიდ შედეგებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აგრესიული აქტი წამოიწყო საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის ავლით.

უბადრუკად და ფარისევლურად მოჩანს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წარმომადგენელთა ცდები გაამართლონ სრულიად არაპროვოცირებული აგრესია არაბული აღმოსავლეთის ხალხთა წინააღმდეგ. ისინი ლაპარაკობენ „რაღაც გარეგან ჩარევაზე“. მაგრამ ეს ცილისმწამებლური მონაჭორები გააბათილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფმა, რომელიც ლიბანში გაიგზავნა. ისინი ლაპარაკობენ თავის „უშიშროებაზე“. მაგრამ განა არაბთა აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც რამდენიმე ათას კილომეტრზე არიან ამერიკის ტერიტორიიდან, ემუქრებიან ამერიკის „უშიშროებას?“ ისინი ლაპარაკობენ „ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვაზე“. მაგრამ საკითხავია, საერთაშორისო სამართლის რა ნორმები აძლევენ ნებას უცხოეთის სახელმწიფოებს გაგზავნონ თავისი შეიარაღებული ძალები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამგვარი მიზნებისათვის? ასეთი ნორმები საერთაშორისო სამართალში არ არის. ან, იქნებ, ამერიკის შეერთებულ შტატებს „სამართლის ნორმებად“ მიაჩნიათ ყველა და ყოველგვარი კოლონიზატორის ავაზაკური მოქმედება, რომლებიც თავის მოქალაქეთა „დაცვის“ ყალბ საბაბს აყენებდნენ იმისათვის, რომ დაეთრგუნათ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხები?

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების უხეში ცდები მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი, მათი უხეში ზეგავლენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, რათა მიაღწიონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების მოწონებას, გამოიწვევენ მხოლოდ უდიდეს აღშფოთებას. „რა თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ, — წერს გაზეთი „ინდიან ექსპრესი“, — ეს არის საერთაშორისო სამართლისა და ჩვეულებების აშკარა დარღვევა... ყოველივე ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევაა...“

ლიბანში ამერიკის სამხედრო ჩარევის ნამდვილი მიზეზები კარგად არის ცნობილი. ეს არის ნავთობის მონოპოლიების მისწრაფება შეინარჩუნონ თავისი კოლონიური ბატონობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, შეინარჩუნონ კოლოსალური მოგება, რომელსაც იღებენ ამ ქვეყნების ეროვნული სიმდიდრის ძარცვის შედეგად. ვერც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულმა ბაღდადის პაქტმა, ვერც აბადაღებულმა „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინამ“, რომელიც მიმართულია არაბი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ვერ უზრუნველყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ნავთობის მაგნატების მძარცველური ინტერესები. არაბული აღმოსავლეთის ხალხებმა გადაჭრით უარყვეს იმპერიალისტური პოლიტიკის ეს იარაღი.

დარწმუნდნენ რა, რომ ბაღდადის პაქტი და „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“ სავსებით ჩიფუშა, მმართველმა წრეებმა აამოქმედეს „როკფელერების დოქტრინა“ — ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მეფეების დოქტრინა. ამ „დოქტრინის“ ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია „როკფელერის ჯგუფის მოხსენებაში“, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის დამდეგს. მასში შავით თეთრზე ჩაწერილი იყო ნავთობის მაგნატთა მოთხოვნა გაეძლიერებინათ გამალებული შეიარაღება, დაექვემდებარებინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი სტრატეგია მზადებისათვის როგორც „ტოტალური“, ისე აგრეთვე „პატარა ომების“ საწარმოებლად, შეექმნათ ჯარის სპეციალური ნაწილები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ როგორ მოქმედებს აგრესიისა და ომის ეს ავბედითი დოქტრინა.

ვაშინგტონში გაკეთებული ოფიციალური განცხადებანი ეჭვს არ ტოვებენ, რომ ამერიკის ჯარების ინტერვენცია ლიბანში მხოლოდ პირველი ნაბიჯია კოლონიურ ომში არაბული აღმოსავლეთის ხალხების წინააღმდეგ. შემდეგ ნაბიჯად, როგორც უცხოეთის პრესა აღნიშნავს, განზრახულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ჩარევა ერაყის საშინაო საქმეებში.

14 ივლისს, როგორც ცნობილია, ერაყელმა ხალხმა, რომელიც აღსდგა თავისი სამშობლოს დასაცავად იმპერიალიზმისა და მისი რეაქციული აგენტების წინააღმდეგ, დაამხო მონარქია და გამოაცხადა ერაყის რესპუბლიკა. რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ემხრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და ბანდუნგის კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დაარღვია აგრესიული ბაღდადის პაქტი, განაცხადა, რომ გამოდის ეგრეთწოდებული ერაყ-იორდანიის ფედერაციიდან და ცნო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა.

არაბთა ყველა სახელმწიფო, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მიესალმება ერაყელი ხალხის გამარჯვებას იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებზე, ერაყის რესპუბლიკის გამოცხადებას.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც უცვლელად ხელმძღვანელობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპით და დიდ პატივს სცემს ერაყელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მისწრაფებას, განაცხადა, რომ ოფიციალურად ცნობს ერაყის რესპუბლიკის მთავრობას.

„საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, — ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ აბდელ ქერიმ კასემისადმი, — რომ ერაყის რესპუბლიკის შექმნა ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის შემდგომ განმტკიცებასა და სსრ კავშირისა და ერაყის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას“.

ერაყის რესპუბლიკა ოფიციალურად ცნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სხვა ქვეყნებმა.

ყველასათვის ცხადია, რომ ერაყის ამბები, ისევე როგორც ლიბანის ამბები, ერაყელი და ლიბანელი ხალხების საშინაო საქმეა. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ამ ამბებში, თავს მოახვიოს ამ ქვეყნების ხალხებს თავისი ნება.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას. სწორედ ამიტომ ასეთი აღშფოთებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი ცნობას ლიბანში ამერიკის ჯარების თავხედური შეჭრის შესახებ. ამ აგრესიულ აქტს ერთსულოვნად გმობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები, ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, იაპონიისა და აზიის სხვა სახელმწიფოთა ხალხები, დასავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ხალხები. მრისხანებით და გულისწყრომით არის აღსავსე ყველა არაბი ხალხის გული, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება მიაჩნიათ თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უხეშ ხელყოფად.

განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესზე, რომელიც გუშინ გაიხსნა სტოკჰოლმში, კონგრესის მონაწილე 70-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია არაბული აღმოსავლეთის ხალხების წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანიდან. საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი არ დარჩება ამბებისადმი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რაიონში, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებთან და უფლებას იტოვებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესები უკარნახებენ.

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და თავის ხმას უერთებს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანის პროტესტს, რომლებიც მრისხანებით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისაგან:

— ხელები შორს ლიბანისაგან!

— ხელები შორს ერაყისაგან!

— ხელები შორს არაბთა ყველა ქვეყნისაგან, რომლებიც იცავენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

„პრავდის“ 17-VII მოწინავე.

ვინონებთ საბჭოთა მთავრობის განცხადებას

მხოლოდ ხიზღი და რისხვა შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიოს ხალხებში ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა აგრესიულმა აქტმა არაბეთის ხალხების მიმართ.

ამერიკელი იმპერიალისტები ისევ აყენებენ მსოფლიოს ახალი ომის საფრთხის წინაშე! ჩანს მათ დაავიწყდათ სამარცხვინო ჩაფუშვა სუეცის ავანტიურისა, რომელსაც წინააღუდგა თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხი.

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღშფოთებულია იმპერიალისტ აგრესორთა თავხედური მოქმედებით. იგი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება ამბებისადმი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რაიონში, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებთან, და უფლებას იტოვებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესები უკარნახებენ“.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა არაბეთის ხალხთა საშინაო საქმეებში.

ლადო გუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო მხატვარი.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა ნიღაბი ჩამოიხადეს

ახალციხელ კოლმეურნეთა ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა საბჭოთა მთავრობის განცხადებამ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ჩვენ, კოლმეურნეები, გულისწყრომას და აღშფოთებას გამოვთქვამთ ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის გამო.

იმპერიალისტებმა ნიღაბი ჩამოიხადეს. ლიბანში ინტერვენციის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა მონოპოლიების ბატონობის შენარჩუნება. ეს ინტერვენცია დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ ლიბანიდან თავიანთი ჯარები.

ს. კაკაჩიშვილი,
ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

აგრესორთა ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დაჯოვონ ლიბანი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა მუშამოსამსახურეთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ინფორმაცია გააკეთა ქარხნის უფროსმა გ. მაცაბერიძემ.

— ამერიკის ჯარების გადასხმა ბეირუთში, — თქვა მან — შეიარაღებული ინტერვენციის აქტია არა მარტო ლიბანის მიმართ, არამედ აგრეთვე ყველა თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში სავსებით ადასტურებს, რომ იმპერიალისტებმა ნიღაბი ჩამოიხადეს და აშკარა აგრესიას მიმართეს მშვიდობისმოყვარე არაბი ხალხების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ყველა კეთილი ნების ადამიანი ერთსულოვნად გმობს ამერიკელი იმპერიალისტების მოქმედებას. მთელი საბჭოთა ხალხი იწონებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

ტრიბუნაზეა მოწინავე მექვაბე ი. ბერეზაცკი.

— ჩვენ კარგად ვიცნობთ აგრესორთა ოინებს, — თქვა მან, — ისინი ცდილობენ გააჩაღონ ახალი სისხლისმღვრელი ომი, დაიმონონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები, მაგრამ ისინი ამჯერადაც მოტყუვდებიან ანგარიშში, რადგან მათ წინააღმდეგ ამხედრებულია მთელი დედამიწის მილიონობით მშრომელი ადამიანი.

— ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარი ამბები, — თქვა სამსხმელო საამქროს უფროსმა მ. იაგორაშვილმა, — რომლებიც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა აგრესიამ ლიბანში, სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად ვაცხადებთ: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა შეწყვიტოს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანიდან.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას. (საქდესი).

უსაზღვროა ჩვენი გულისწყრომა

ბათუმი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა უდიდესი აღშფოთებით შეიტყეს, რომ 15 ივლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრესია დაიწყეს ლიბანის მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ.

— შორს ბინძური ხელები თავისუფლებისმოყვარე ლიბანისაგან! აგრესია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს! — ასეთია რაიონის ყველა მშრომელის აზრი და მტკიცე მოთხოვნა.

— უსაზღვროა ჩვენი აღშფოთება ლიბანის ამბების გამო, — თქვა საბჭოთა მთავრობის განცხადების გაცნობისას სოფელ სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ბაქრაძემ. — ბეირუთში ამერიკის ჯარების გადასხმა წარმოადგენს არა მარტო ლიბანის, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე არაბთა ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის აქტს. ამ ახალი აგრესიული აქტით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავი გამოამჟღავნეს, როგორც მშვიდობის მოსისხლე მტრებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აშკარა ჩამხშობებმა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ყველა მშრომელი ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს თავისუფლებისმოყვარე ხალხების სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

გუშინ საღამოს რაიონის კოლმეურნეობებში უდიდესი აღშფოთების ვითარებაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც კოლმეურნეები გულისწყრომით გმობენ მშვიდობის მტრების გამოხდომებს და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის სამართლიან განცხადებას. ამასთან პირობას დებენ თავდადებული შრომით უპასუხონ სოციალისტური სახელმწიფოს ახალ მშვიდობისმოყვარე აქტს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ხურათზე: მიტინგი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მიკროფონთან სამსხმელო საამქროს უფროსი მ. იაგორაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს არაბი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის

ხურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები ეცნობიან საბჭოთა მთავრობის განცხადებას ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ფოტო ვ. გინზბურგისა.

★ ★ ★

საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის

ასობით მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა გუშინ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მიტინგზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ჟ. ძიძიგურმა.

ტრიბუნაზეა საქსოი წარმოების მოსამზადებელი განყოფილების მესაერცხლე ა. კიკალეიშვილი.

— ჩვენი კომბინატის მშრომელები, — თქვა მან, — ისევე როგორც ყველა საბჭოთა ხალხი, ისწრაფვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიამ მთელი საბჭოთა ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ ვგმობთ ამერიკელი იმპერიალისტების ამ ახალ აგრესიულ ნაბიჯს და სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში კოლონიზატორთა უხეში ჩარევის გამო.

— საბჭოთა ადამიანებს ღრმად სწამთ, — განაცხადა მაუდის წარმოების ქვეოსტატმა ი. ჯორჯაძემ, — რომ ამერიკელი იმპერიალისტები ვერ შეძლებენ ჩაახშონ ლიბანელი ხალხის თავისუფლება. ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ, გამოვუშვათ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, შევიტანოთ ჩვენი წვლილი საყვარელი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მიტინგზე თავიანთი გულისწყრომა გამოთქვეს აგრეთვე კომბინატის სამღებრო-გამმყვანი წარმოების უფროსმა ვ. ჭანიშვილმა, კამვოლური წარმოების მეფთილემ ფ. შვიცმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა მთავრობის 16 ივლისის განცხადებას და მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყდეს შეიარაღებული აგრესია არაბთა ქვეყნებში.

ვერა, ვერ ჩაახშობენ თავისუფლებისათვის ბრძოლას

აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციას კაიროში. ამ კონფერენციას მე თვითონ არ დავსწრებივარ, მაგრამ მასში ჩემი ამხანაგები მ. ტურსუნ-ზადე და ა. საფრონოვი მონაწილეობდნენ. მე მათთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი აზიის ქვეყნების პროგრესულ მწერალთა დელის კონფერენციაში. ამ ამხანაგების გადმოცემით, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კაიროს კონფერენციამ უდიდესი გავლენა მოახდინა ინტელიგენციისა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების შეგნებაზე.

ჩემს მოგზაურობაში ავწერე, თუ რა სიყვარულით ხვდებიან საბჭოთა მოქალაქეებს ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში. ახლაც აღფრთოვანებით ვიგონებ იმ სტიქიურ მიტინგს ფენჯაბში, რომელიც მოსახლეობამ ჩვენ, საბჭოთა დელეგაციის წევრებს, გაგვიმართა.

ბუნებრივია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებში დიდ როლს ასრულებს ინტელიგენცია და მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებმაც კარგად დაინახეს, რა გიგანტურ ნაბიჯებს დგამს წინ ბედნიერების გზაზე კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა.

ჩემს თვალწინ ახლაც ცოცხალი სურათივით დგას დელის კონფერენციაზე ეგვიპტელი პროგრესული მწერლის გამოსვლა. ეგვიპტეში მაშინ მიმდინარეობდა ბრძოლები სუეცის არხის გამო. ამ დელეგატის ყოველი ფრაზა, მიმართული იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ტაშის გრიალით იფარებოდა.

აზიისა და აფრიკის მწერალთა საუკეთესო ძალები უდგანან დღეს სათავეში ამ ქვეყნების ინტელიგენციის ერთიან მოძრაობას კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში.

ჩვენს გულს ახარებს ის ამბავი, რომ ტაშკენტში დანიშნულ კონფერენციაზე დიდი სიხარულით მოისწრაფვიან მწერლები აზიიდან და აფრიკიდან. მარტო ინდოეთიდან თხუთმეტი მწერალი ჩამოვა. ამ კონფერენციის მოსამზადებელ საბჭოთა კომიტეტს ყოველდღე მოსდის სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა მრავალი განცხადება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ტაშკენტის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ეს კონფერენცია იქნება ერთხელ კიდევ დადასტურება იმ დიდი სწრაფვისა, შეთანხმებულობისა, საერთო პლატფორმის განმტკიცებისა, რომელიც პირველმა კონფერენციამ მიიღო დელში.

გამოღვიძებული აღმოსავლეთის ხალხების სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის ვერ ჩაახშობს, ვერ ჩააჭრობს ამერიკის მილიტარიზმის სისხლიანი ჩექმა.

ირაკლი აბაშიძე.

★ კოლონიზაციორთა ვერაგობა

კოლონიზატორებმა კვლავ დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, უხეშად ჩაერიენ არაბი ხალხების საშინაო საქმეებში. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულგრილად ვერ შევხვდებით ამერიკელ იმპერიალისტთა თავხედურ, შეიარაღებულ აგრესიას ლიბანში. უტიფარი იმპერიალისტური აგრესია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

მშვიდობისმოყვარე არაბი ქვეყნების მიმართ ძალადობა, მათი სუვერენული უფლებების ცინიკური გათელვა მთელი საბჭოთა ხალხის აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს. ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, მოვითხოვთ ძირშივე აღიკვეთოს ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია არაბი ხალხების წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, აუცილებელია სწრაფად განახორციელოს ღონისძიებანი არაბი ქვეყნების საშინაო საქმეებში იმპერიალისტთა უხეში ჩარევის წინააღმდეგ.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ამ კეთილშობილურ საქმეში მათ მხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი. მშვიდობის ძალები ძლიერი არიან, მშვიდობა გაიმარჯვებს. ამერიკელთა აგრესია ლიბანში აღკვეთილ იქნება.

ი. ქრისტესიაშვილი,
სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★ შეწყდეს კოლონიზატორთა დანაშაულებრივი აგრესია

სოხუმი. („კომუნისტის“ კორ.). სოხუმის საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის განცხადების გაცნობას. ორჯონიკიძის სახელობის სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტი გააცნო კომბინატის დირექტორმა ა. ღვინჯილიამ.

— ჩვენ აღშფოთებას გამოვთქვამთ, — განაცხადა მეორე საამქროს მოწინავე მუშამ კ. ივანოვმა, — ლიბანში ამერიკელთა ინტერვენციის გამო. კარგად გვახსოვს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, ის ტანჯვა, რაც განიცადეს მსოფლიოს ხალხებმა ჰიტლერელი ფაშისტებისაგან. ამერიკელი იმპერიალისტები ფაშიზმის გზას ადგანან. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულისწყრომით ვგმობთ ომის გამჩაღებელთა აგრესიულ პოლიტიკას.

სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე მექანიკოსმა ო. ძიმისტარიშვილმა თქვა:

— ამერიკელმა იმპერიალისტებმა ბეირუთის ნავსადგურში ლიბანის ტერიტორიაზე გადასხეს საზღვაო ჯარი. ეს უაღრესად უხეში სამხედრო ჩარევაა ლიბანელთა საშინაო საქმეებში. ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამ აგრესიული აქტის გამო.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც დაგმობილია ამერიკის იმპერიალისტების უხეში ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში.

ქუთაისის მშრომელთა ხმა

ქუთაისი. (საკ. კორ.). გუშინ ქუთაისის საწარმოებში და მშენებლობებზე გაიმართა ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის განცხადებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გამართულ მიტინგზე გამოსულმა ძრავის საამქროს ნოვატორმა ამწყობმა ტ. ჩარგეიშვილმა განაცხადა:

— ყველასათვის ცნობილია საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი და ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად უჭერს მხარს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უარყოფითად მოეკიდა საბჭოთა მთავრობის წინადადებას ეკისრა ვალდებულებანი არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში დიდ სახელმწიფოთა ჩაურევლობის შესახებ. ახლო აღმოსავლეთში ამბების განვითარებამ, კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის არაბი ხალხების ურყევმა მისწრაფებამ კიდევ უფრო გააბოროტა კოლონიზატორები, და ახლა, როგორც ეს ცხადყო ლიბანში ამერიკის შეიარაღებულმა ინტერვენციამ, იმპერიალისტები აშკარა აგრესიის გზას დაადგნენ, ჩამოიხადეს ნიღაბი და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. ჩვენ, ავტომობილმშენებლები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს და ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის განცხადებას, გულისწყრომით ვგმობთ იმპერიალისტთა ავაზაკურ და ვერაგულ ხრიკებს, ვაცხადებთ, რომ პარტია, მთავრობა და საბჭოთა ხალხი ერთიანნი არიან თავიანთ მისწრაფებაში მტკიცედ დაიცვან მშვიდობის საქმე. ვდგები რა მშვიდობის ვახტზე, ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 250 პროცენტით გავანაღდო.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ავრეთვე ბასის საამქროს ამწყობმა ს. ხვიდელიძემ, ნორმალების საამქროს მხეხავმა ა. თევდორაძემ, ინჟინერმა გ. ჩიხლაძემ და სხვებმა.

ავლაგმოთ აგრესორები

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები შეშფოთებული არიან მშვიდობის ბედით. ისინი მღელვარებით ადევნებენ თვალს იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიულ მოქმედებას ახლო და შუა აღმოსავლეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხების მიმართ.

იმპერიალიზმი ცდილობს კვლავ დაადგას მონობის უღელი გამღვიძებულ არაბ ხალხს, მაგრამ მშვიდობისმოყვარე ძალები მტკიცედ გამოდიან არაბი ხალხების დასაცავად, მშვიდობის დასაცავად. ამ ერთიანობის დადასტურებაა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გუშინ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გაიმართა. იგი მიეძღვნა ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი ნ. ქვანია. მან დაწვრილებით გააცნო მიტინგის მონაწილეებს საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელშიც მხილებულია იმპერიალიზმის მესვეურთა შავბნელი ზრახვები.

— მთელი მსოფლიოს თვალწინ, — განაცხადა თავის სიტყვაში ქსოვის ინსტრუქტორმა ნინო გულაშვილმა, — ხორციელდება ამერიკის სამხედრო ძალების უხეში ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში. იმპერიალისტები ცდილობენ თავს მოახვიონ ხალხებს მესამე მსოფლიო ომი, მაგრამ მშვიდობის დიდი ბურჯი საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კაცთმოძულე ძალებმა არ შელახონ ხალხთა ბედნიერება. ჩვენ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, — განაგრძობს ორატორი, — ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავამრავლოთ ჩვენი წვლილი მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მქსელავი ევდოკია დომაკური, მოსამზადებელი საამქროს მუშა ლიდა ციცქიშვილი, უფროსი წუნმდებელი ვარა მამუჩიშვილი.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და გულისწყრომით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას.

★ ვიმუშავებთ გაორკეცებული ენერგიით

ხაშურელმა რკინიგზელებმა გულისწყრომით შევიტყეთ ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია მშვიდობის დაცვის საქმეში. ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს ამერიკელი იმპერიალისტების ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში და დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან მათი ჯარები ლიბანიდან.

ხაშურელი რკინიგზელები კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მეელმავლეთა გუნდის სახელით პირობას ვიძლევი უზრუნველყოთ სურამის უღელტეხილზე მატარებელთა უშიშარი ტარება, გავზარდოთ ელექტრომავლის სადღეღამისო გარბენა, ივლისში გეგმის გადამეტებით გადავზიდოთ სამი ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

გ. რიჟამაძე,
ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსი მემანქანე.

ახალი ძალით გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას

ჩვენ, ამ წერილის ავტორები, უდიდეს გულისწყრომას გამოვთქვამთ ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენციის გამო. იმპერიალისტების ეს აგრესიული ნაბიჯი ერთხელ კიდევ ადასტურებს დასავლეთის სახელმწიფოების მიზანს — მონობის უღელი დაადგან თავისუფალ ხალხებს. მაგრამ დროა გაიგონ, რომ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები არავის არ მისცემენ ნებას ომის ქარცეცხლში გახვიოს მსოფლიო, დაურღვიოს მყუდრო ცხოვრება ადამიანებს, რომლებსაც მშვიდობა სურთ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც ერაყში შედეგად მოჰყვა მონარქიული რეჟიმის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება, მთელი არაბი ხალხის საერთო მოძრაობაა. მაგრამ ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს ხელს არ აძლევთ ეს, რადგან ამით საფუძველი ეცლება მათს ბატონობას ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ყველასათვის ცნობილია, რომ ლიბანში ჯარების შეყვანით ამერიკელები ემუქრებიან როგორც ერაყს, ისე არაბეთის სხვა ქვეყნებს.

ჩვენ, საქართველოს მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არ შეგვიძლია ხმა არ ავიმაღლოთ აგრესიის ამ აღმაშფოთებელი აქტის წინააღმდეგ, ვუერთდებით რა მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების მტკიცე სურვილს, მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია შუა და ახლო აღმოსავლეთში.

ვალდებულებას ვიღებთ, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ქვეყანას მივცეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

გ. მაჩიტიძე,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ამონიუმის წარმოების უფროსი მექანიკოსი.

ა. ფანცულაია,
ამერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე.

ქართველ მეცნიერთა ხმა

მთელი მსოფლიო აღშფოთებულია ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციით. ამერიკელი იმპერიალისტები არაბი ხალხის სისხლში მოსვრილ და ჯერ კიდევ შეუმშრალ ხელებს კვლავ ურევენ ერაყისა და ლიბანის მშვიდობის და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საშინაო საქმეში.

ამის გამო აღშფოთების გრძნობამ შეკრიბა გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლუბში ქართული მეცნიერული აზროვნების მუშაკები.

— მშვიდობა მთელ მსოფლიოში, თავისუფლება მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს! — აი რა ლოზუნგით ჩაიარა ამ მიტინგმა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა პროფესორმა რ. დვალმა.

ჩვენ ამ საქმისადმი გულგრილი ვერ დავრჩებით

ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო ინფორმაციით გამოსულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პროფესორმა ა. ბოჭორიშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ლიბანის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია არ არის მარტო ლიბანის ხალხის სასიცოცხლო საქმე. ოკეანესგაღმელ ინტერვენტთა ვერაგობა თვალსაჩინოდ, დასაბუთებულად განმარტებულია ჩვენი მთავრობის განცხადებაში.

„საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება ამბებისადმი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რაიონში, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებთან, და უფლებას იტოვებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესები უკარნახებენ“.

— შევუერთოთ ჩვენი პროტესტი მსოფლიოს ხალხთა მტკიცე სიტყვას, რომლის ხვედრითი წონა უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. გაუმარჯოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის! — ამბ. ბოჭორიშვილის ამ სიტყვებმა მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა.

ქართველი მეცნიერები აღშფოთებას გამოთქვამენ

შემდეგ სიტყვებით გამოსული მეცნიერები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ს. წერეთელი, პროფესორები ი. ტატიშვილი, ი. აბულაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი შ. ვაშაყმაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი გამოთქვამდნენ აღშფოთებას ამერიკელთა საზიზღარი ინტერვენციის გამო. — ჩვენი ეპოქა კოლონიალიზმისათვის ბოლოს მოღების ეპოქაა, — ამბობდნენ ისინი, — ანაგებია წინააღმდეგობა, რასაც იმპერიალისტები უწევენ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის. ახლო და შუა აღმოსავლეთის დღეს გამძაფრებული ამბები ამის ნათელი დადასტურებაა. ამერიკის იმპერიალისტები ვერ ითმენენ არაბეთის გაერთიანებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ამით აიხსნება მათი ბანდიტური ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში. ამერიკელებმა რაიმე საბაბის უქონლად გადასხეს თავიანთი ჯარები თავისუფლებისმოყვარე ლიბანის ტერიტორიაზე. ისინი ამ საქმეში ფლიდურად იმართლებენ თავს, თითქოს ეს მოხდა იმიტომ, რომ ლიბანს საშიშროება მოელოდა. მაგრამ დღეს ხომ ყველამ იცის, ყველასათვის ნათელია, რომ ერთადერთი საშიშროება ლიბანს და მის ხალხს ამერიკელი იმპერიალისტებისაგან მოელის და რომ ეს იმპერიალისტებისაგან ჩადენილი საზიზღარი აქტითაც დასტურდება.

ქართველი მეცნიერები აღშფოთებას გამოთქვამენ ლიბანში ამერიკელთა საზიზღარი ინტერვენციის გამო.

მშრომელი ხალხის განსაკუთრებული გულისტკივილი

მიტინგის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ენათმეცნიერთა—ილია აბულაძისა და გიორგი ახვლედიანის გამოსვლებმა.

— არ შეიძლება მშვიდობისმოყვარე ხალხთა აღშფოთება არ გამოიწვიოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ინტერვენციამ ლიბანში, — ამბობს პროფესორი ი. აბულაძე, — ცხადია, რომ იგი ქართველი ხალხის განსაკუთრებულ, მწვავე პროტესტს იწვევს, სწორედ ამ პროტესტის გამოხატულებაა ქართველ მეცნიერთა შეკრება.

— ჩვენ, ქართველ ხალხს, მის მეცნიერებს, — ამბობს აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, — განსაკუთრებით გვაღელვებს ლიბანელი ხალხის ბედი, არაბი ხალხის ბედი იმიტომ, რომ ჩვენი, ქართველი და ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების კულტურა ისტორიულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ოკეანესგაღმელ ინტერვენტებს არ უნდა მიეცეთ უფლება ხელი შეახონ ხალხთა ამ ისტორიულ, მეგობრულ კულტურულ კავშირს. ჩვენ მშვიდობა გვინდა და ყოველი პატიოსანი ადამიანის პროტესტი ამ მშვიდობის ჩამხშობი იმპერიალისტების ბანდიტური გამოსვლის წინააღმდეგ არის მიმართული.

მიტინგმა ქართული მეცნიერული აზროვნების მუშაკთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა. მან მიიღო ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტისა და მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი რეზოლუცია.

ხელები შორს არაბთა ქვეყნებისაგან!

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელებში უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია ცნობამ არაბეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენციის გამო. იმპერიალისტების ეს აგრესიული ნაბიჯი ერთხელ კიდევ ადასტურებს დასავლეთის სახელმწიფოების მიზანს — მონობის უღელი დაადგან თავისუფალ ხალხებს. მაგრამ დროა გაიგონ, რომ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები არავის არ მისცემენ ნებას ომის ქარცეცხლში გახვიოს მსოფლიო, დაურღვიოს მყუდრო ცხოვრება ადამიანებს, რომლებსაც მშვიდობა სურთ.

პურეულის მოსავლის აღებაზე, სიმინდის ნათესების დამუშავებაზე, ბაღ-ვენახებში სამუშაოდ გასულ კოლმეურნეთა და მეცხოველეობის ფერმებში მყოფ მწყემსთა შორის დღეს პროტესტისა და აღშფოთების ხმები გაისმის ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ.

— არაბეთის ქვეყნებში დაწყებული ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა, — განაცხადა სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის“ თავმჯდომარემ ს. ძამუკაშვილმა, — არაბი ხალხის საშინაო საქმეა და არავის არა აქვს უფლება ხელყოს მათი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს მშობლიური საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ემსახურება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს. ერაყის რესპუბლიკის შექმნა და საბჭოთა მთავრობის მიერ მისი მთავრობის ოფიციალური ცნობა მთელ ჩვენი ხალხის საერთო მოწონებას იწვევს. ამერიკელ ავანტიურისტებს ავიწყდებათ ისტორიის გაკვეთილი. ისინი ძალის პოლიტიკით ფონს ვერ გაავლენ, ახლა ძველი დრო როდია. მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი დღეს თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხის მხარეზეა. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამერიკელმა აგრესორებმა აგრესიული მოქმედება ლიბანისა და ერაყის წინააღმდეგ, თავიანთ დინგს ნუ სჩრიან არაბეთის ქვეყნების საშინაო საქმეში.

ხელები შორს არაბთა ქვეყნებისაგან!

ჩაის ფოთოლს კრეფენ ყოველგვარ ამინდში

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივთან. ლაითურელები მთელი მონდომებით იბრძვიან შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ამ საქმეში მათ დიდად უწყობს ხელს ის, რომ შესაძლებლობა აქვთ კრეფა აწარმოონ ყოველგვარ ამინდში. 1.200-ზე მეტი მუშა უზრუნველყოფილია საუკეთესო საწვიმრებითა და სპეცტანსაცმლით.

მეურნეობას დღემდე მოკრეფილი აქვს 1.600-ზე მეტი ტონა ფოთოლი. სეზონში მოკრეფენ 3.250 ტონას.

სურათზე: ჩაის კრეფა წვიმიან დღეს (ლაითურის საბჭოთა მეურნეობა).

ფოტო ვ. დელეოვისა.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 15 ივლისისათვის

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 15 ივლისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 57,5 პროცენტით. მიმდინარე წლის 15 ივლისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 9.134 ტონით მეტი, ვიდრე გასული წელს ამავე დროისთვის.

აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში, აჭარის სსს რესპუბლიკასა და რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში წლიური გეგმის შესრულება შეადგენს —

		პროცენტობით:
აფხაზეთის სსრ		62,8
აჭარის სსრ		58,8
მახარაძის	რაიონი	56,2
ჩოხატაურის	„	50,8
ლანჩხუთის	„	49,9
სამტრედიის	„	56,4
წულუკიძის	„	55,2
ქუთაისის	„	65,9
წყალტუბოს	„	66,8
ტყიბულის	„	69,2
ცხაკაიას	„	48,8
აბაშის	„	44,2
გეგეჭკორის	„	52,4
ზუგდიდის	„	58,8
წალენჯიხის	„	57,1
ჩხოროწყუს	„	57,5
ხობის	„	59,6
თერჯოლის	„	79,1
ზესტაფონის	„	50,0
ჭიათურის	„	95,0
ვანის	„	75,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

განახლდა ტრადიციული შეჯიბრება

კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება ჭიათურელ მაღაროელთა, რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კოლექტივსა, ფოთის და ქედანოვის ნავსადგურებსა და ქალაქ ქედანოვის მეტალურგებს შორის თითქმის ოცი წლის წინათ ჩაისახა. ეს შეჯიბრება 1939 წელს წამოიწყეს თბომავალ „ა. სეროვის“ სახელოვანმა მეზღვაურებმა. კომპლექსურმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის მიზანი იყო დიდი სატრანსპორტო კონვეიერის რიტმული, შეწყობილი მუშაობა, გარკვეული როლი შეასრულა მარგანეცის მადნის მეტალურგიულ ქარხნებამდე დაჩქარებით მიტანაში.

წელს კვლავ განახლდა ეს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. ამ დღეებში ქ. ქედანოვიდან დაბრუნდა ჭიათურელთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: მარგანტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი ვ. ქოიავა, საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ნ. გოგისვანიძე, მტვირთავი მუშა გ. ყიფშიძე და მარგანტრესტის სატრანსპორტო განყოფილების პარტბიუროს მდივანი ვ. ნოზაძე. ისინი გაეცნენ მეზღვაურთა ცხოვრებასა და შრომას, ილიჩის სახელობისა და „აზოვსტალის“ მეტალურგიული ქარხნების მუშაობას, გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1958 წლისათვის.

აზოვის რაიონის სამმართველოს მეზღვაურები, ქედანოვისა და ფოთის მენავსადგურეები, რკინიგზელები, აზოვილი მეტალურგები და ჭიათურელი მაღაროელები კისრულობენ წლიური გეგმის 5-10 დღით ადრე შესრულებას, ტვირთზიდვის დაჩქარებას, თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვაგონებისა და გემების მოცდენის მინიმუმამდე შემცირებას, მეტალურგიული ქარხნებისათვის მადნის შეუფერხებლად მიწოდებას და მეტი შენადნობის გამოშვებას.

ეს დიდი სატრანსპორტო კონვეიერი ჭიათურაში იწყება და ქედანოვში მთავრდება. ამიტომაც გადაწყდა, რომ შეჯიბრების შედეგები შეჯამდეს 15 აგვისტოს ჭიათურაში, ხოლო 1959 წლის 15 მარტს — ქ. ქედანოვში.

შეჯიბრების გაჩაღების შედეგად ჭიათურელი მაღაროელები აუმჯობესებენ მუშაობას. ქ. ქედანოვიდან აქ მიღებული წერილით ვგებულობთ, რომ გემების „კრამატორსკის“, „ნიკიტოვკის“, „მაკიევკის“, „ტრაქტორისტის“ და სხვათა მოწინავე ეკიპაჟები შესანიშნავად მუშაობენ, ამცირებენ მოცდენას, ეზიდებიან ზეგეგმით ტვირთებს.

ჭიათურელ მაღაროელთა ვალია ოდნავაც არ შეაფერხონ ამ დიდი სატრანსპორტო კონვეიერის მოძრაობა, გამარჯვებული გამოვიდნენ შეჯიბრებაში.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კორესპონდენტები გვატყობინებენ

მეტი ქართული ჩაი სამშობლოს

ოჩამჩირის რაიონის ქოჩარის ჩაის ფაბრიკა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების წლევანდელ სეზონს. შეუფერხებლად ამუშავებს ნედლეულს. მაის-ივნისის დავალება ფაბრიკის კოლექტივმა 131,8 პროცენტით გაანაღდა და მტკიცედ დაიცვა ასორტიმენტი, აამაღლა პროდუქციის ხარისხი. ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკასთან, იბრძვის წლიური დავალების სასახელოდ შესრულებისათვის. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობს მორიგე ტექნოლოგის ნ. ბურჯანაძის ცვლა, დამხარისხებელი საამქრო (უფროსი ს. კეთილაძე), ტარის საამქრო (უფროსი გ. ზუხბა) და სხვ.

ვ. დოხნაძე.

ქების სიგელები კარგი მუშაობისათვის

საქართველოს სსრ კავშირგამბმულობის სამინისტრომ ქების სიგელებით დაჯილდოვა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობები. 1957 წელს კოლმეურნე ფოსტალიონების კარგი მუშაობისათვის. დაჯილდოებულთა შორის არიან თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობათა გამგეობებიც. სოფელ სიქოარის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში კარგად მუშაობს კოლმეურნე ფოსტალიონი იოსებ ფოფხაძე, ძეგრის კოლმეურნეობა „სოციალისტურ სოფელში“ — ბიტორ კალატოზი, რუფოთის მარჭხის სახელობის კოლმეურნეობაში — აკაკი ცქიფურიშვილი, ალისუბნის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში — ვარდენ ქველიძე, ღვანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — დავით რობაჭიძე.

ვ. კუტალაძე,
კავშირგამბმულობის თერჯოლის რაიკანტორის უფროსი.

დამაზღვევა მაიაკოვსკის რაიონი

როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე, ისე მაიაკოვსკის რაიონიც განახლებისა და განვითარების გზას ადგას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აშენდა რაიკომის ახალი შენობა, აბანო და კეთილმოწყობილი სასტუმრო. მიმდინარეობს 800-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობა, რაიონის ცენტრში წყალსადენი გამოჭყავთ. მოასფალტდება საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორია და საავადმყოფოსაკენ მიმავალი გზა. შენდება კულტურისა და დასვენების პარკი. მიმდინარეობს ზეკარის ბალნეოლოგიური აბანოს და კურორტ საირმის რეკონსტრუქცია. საირმეში შენდება ახალი სანატორიუმი, პანსიონატები.

გ. მაღრაძე

კულტურის სახლის ახალი დადგმები

ნაყოფიერად მუშაობს სამტრედიის კულტურის სახლთან არსებული თეატრალური კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა სცენისმოყვარე ტარიელ ხაჟალია ხელმძღვანელობს. უკანასკნელ თვეებში კოლექტივმა მოამზადა და მაყურებელს უჩვენა ვ. დარასელის პიესა „გამბარი“ და მ. მრევლიშვილის „მოსალოდნელი დასასრული“. პიესები დადგა თეატრალური კოლექტივის წევრმა დავით ტაბიძემ, მხატვრულად გააფორმეს კულტურის სახლის მხატვრებმა კოტე შენგელიამ და ზურაბ ფრუიძემ. სპექტაკლებისათვის მუსიკა დაწერა ა. კარაპეტოვმა. ამჟამად დასადგმელად მზადდება ქს. ხაფავას პიესა „მზეჭალა“.

დ. გოგიტიძე.

გურჯაანი. ქალაქის ცენტრში დამთავრდა სამსართულიანი სასტუმრის მშენებლობა. იგი 72-საწოლიანია, აქვს კაფე-რესტორანი, საპარიკმახერო, საბაზანოები. სურათზე: ახალი სასტუმრო. ფოტო მ. თელიაშვილისა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

ბერლინი, 16 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის დღევანდელ საბოლოო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ესპანეთის, ფინეთის, საბერძნეთის ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის, ბრაზილიის, მაროკოს, ტუნისის, იორდანიისა და პორტუგალიის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა აგრეთვე იაპონიის, ახალი ზელანდიის, ურუგვაის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების მისალმებანი ყრილობისადმი.

ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ლიბანში ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ. რეზოლუციაში ყრილობის დელეგატები სოლიდარობას უცხადებენ ლიბანელ ხალხს, რომელმაც განიცადა იმპერიალისტური აგრესია, და მოითხოვენ ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ლიბანიდან.

შემდეგ დელეგატმა მ. ოპიცმა გამოაქვეყნა შედეგები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნებისა, რაც დღეს დილით მოხდა ყრილობის დახურულ სხდომაზე. დელეგატები მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამ ცნობას.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ო. გროტეოლმა. მან ხაზი გაუსვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას. ო. გროტეოლმა აღნიშნა, რომ ყრილობის დელეგატებმა — მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა — განიხილეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის გზით შემდგომი წინსვლის საკითხები და მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

დელეგატების სახელით ო. გროტეოლი გულითადად მიესალმა მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ყრილობის მუშაობაში. მან აღნიშნა, რომ მათი დასწრება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მკაფიო დემონსტრაცია იყო. ო. გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ქვლავ ადასტურებს სოციალისტური ბანაკის მკაფიო დარაზმულობას და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევ მეგობრობას.

შეეხო რა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის მუშაობაზე გამოხმაურებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ო. გროტეოლმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მოსახლეობამ სწორად გაიგო ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და უკვე შეუდგა მათ განხორციელებას.

ო. გროტეოლმა ილაპარაკა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე და განაცხადა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მოითხოვს უატომო ზონის შექმნას ცენტრალურ ევროპაში, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას და მიაჩნია, რომ გერმანიის გაერთიანება შესაძლებელია ორივე გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნის გზით.

ო. გროტეოლის დასკვნითს სიტყვებს, რომელმაც გამარჯვება უსურვა სოციალისტურ ბანაკს, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს, გამარჯვება უსურვა მშვიდობასა და სოციალიზმს მთელ მსოფლიოში, — დელეგატები და სტუმრები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ყრილობის მონაწილენი დიდი აღმავლობით მღერიან „ინტერნაციონალს“.

ვ. ულბრიხტი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობას დახურულად აცხადებს.

გაიხსნა განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესი

სტოკჰოლმი, 16 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სტოკჰოლმში გაიხსნა განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესი. დილის 10 საათისათვის სასპორტო დარბაზ „ერიკსდალს-ჰალენში“, სადაც ერთ კვირას გაგრძელდება კონგრესის მუშაობა, შეიკრიბნენ დელეგატები, მრავალი მეთვალყურე, პრესის, რადიოს წარმომადგენლები, კონგრესის სტუმრები. დიდი სცენის თავზე ხუთ ენაზე ცისფერი ასოებით წარწერილია: „განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესი“.

ახლანდელი კონგრესის განმასხვავებელი ნიშანია მისი მეტისმეტად ფართო და წარმომადგენლობითი ხასიათი. კონგრესს მეთვალყურეებად ესწრება ბურჟუაზიული პაციფისტური ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც უშუალოდ არ ემხრობიან მშვიდობის მოძრაობას. 70-ზე მეტმა ქვეყანამ გამოგზავნა სტოკჰოლმში თავისი დელეგაციები. უკვე ჩამოვიდა დაახლოებით 1100 დელეგატი. დელეგატთა ნაწილი კონგრესზე ჩამოვა დღევანდელი დღის განმავლობაში. ყველაზე დიდი დელეგაციები გამოგზავნეს დასავლეთმ. გერმანიამ (110-ზე მეტი დელეგატი), შეიციამ, ინდოეთმა, იაპონიამ. საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო სახელმწიფო, საზოგადო და რელიგიის მოღვაწეები — საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი, კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი და სხვები. ინდოეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ქალბატონი რამეშვარი ნერუ. არაბთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნოს გენერალური მდივანი იუსეფ ესსიბაი. კაიროს გაზეთ „ალ-მასის“ მთავარი რედაქტორი ჰალიდ მოჰი ედ-დინი, იაპონიის დელეგაციის შემადგენლობაში ნობელის პრემიის ლაურეატი თვალსაჩინო მეცნიერი ჰ. იუკავა.

ხალხთა ასამბლეას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. კონგრესის მოწვევის ინიციატორია მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელმაც წინადადება მისცა „ყველას, ვინც ესწრაფვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას, გამოგზავნონ წარმომადგენლები ხალხთა მსოფლიო კონგრესზე“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებამ ფართო გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში. კონგრესის ხელშემწყობ საერთაშორისო კომიტეტში, რომელიც ამა წლის მაისში შეიქმნა, შევიდა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი 120-ზე მეტი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე 30 ქვეყნიდან.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, იაპონიაში, არგენტინაში და სხვა ქვეყნებში, გაიმართა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ეროვნული კონფერენციები. საბჭოთა კავშირში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებში წარმატებით მიეწყო „მშვიდობის კვირეულები“, რომელთა მსვლელობაში მშვიდობის მომხრეთა მრავალ კრებასა და შეხვედრაზე დემონსტრირებულ იქნა ხალხთა მისწრაფება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლისაკენ. მოეწყო აგრეთვე სახსრების შეგროვება „მშვიდობის ფონდში“.

დღეს 11 საათზე კონგრესმა ზეიმით დაიწყო მუშაობა. იგი გახსნა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ცნობილმა შვედმა მწერალმა არტურ ლუნდკვისტმა.

სტოკჰოლმი, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს სხდომის დასასრულს განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესმა ყველა დელეგატის ხმებით გარდა ერთისა, რომელმაც წინააღმდეგ მისცა ხმა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის საკითხზე:

„განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესმა შეიტყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები გადასხდნენ ლიბანში, დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყანაში.

ეს აგრესია მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგი მოხდა იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯენერალური მდივნის განცხადებებიდან და გაერთიანებული ერების მეთვალყურეთა მიერ მომზადებული მოხსენებიდან ცხადდ ჩანდა, რომ პოლიტიკური კრიზისი ლიბანში საშინაო ხასიათის მოვლენაა და არ არის დაკავშირებული უცხოეთის რაიმე ჩარევასთან.

კონგრესი საქვეყნოდ აცხადებს პროტესტს ამ აქციის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თვით პრინციპებს. კონგრესი ხაზგასმით აღნიშნავს საფრთხეს, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მშვიდობასა და დამოუკიდებლობას უქმნის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის ჯარების კონცეპტრაცია და ბაღდადის პაქტის ქვეყნების აგრესიული გეგმები ერაყის მიმართ, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოა. აღნიშნული მოქმედება საფრთხეს უქმნის არა მარტო ახლო აღმოსავლეთის ხალხებს, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოს, რომელსაც ემუქრება მსოფლიო ომი თერმოატომგულის იარაღის გამოყენებით.

კონგრესი მოწოდებით მიმართავს ყველა ხალხს. იგი წინადადებას აძლევს მათ მიიღონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო აგრესიასა და ინტერვენციას და შეაჩერონ კონფლიქტი, რომლის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნიდა კაცობრიობის ბედს“.

კონგრესის დელეგატები ფეხზე მდგარნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ რეზოლუციის მიღებას.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნაშრომი საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდზე

დოც. ი. მელქაძე.

ამ ცოტა ხნის წინათ წიგნის ბაზარზე გამოვიდა დოც. ი. კაჭარავას ნაშრომი — „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ნაშრომი პირველი არ არის სახალხო მეურნეობის აღდგენითს პერიოდზე. მაგრამ აღდგენითი პერიოდის ისე ვრცელი და ყოველმხრივი განხილვა სხვა მონოგრაფიებსა და სტატიებში ისე არ ყოფილა მოცემული, როგორც დოც. ი. კაჭარავას ნაშრომში.

ავტორს წლების განმავლობაში ბეჯითი შრომა გაუწევია თემის გარშემო არსებული მასალების შესასწავლად. კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების გადაწყვეტილებათა შესწავლის საფუძველზე წიგნში ნაჩვენებია პარტიის თავდადებული ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

ნაშრომში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის სურათი განხილულია ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მასში თანმიმდევრულად გაშუქებულია აღდგენითს პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ანტისაბჭოთა პარტიებისა და ოპორტუნისტულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ.

ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან ქართულ საისტორიო და ეკონომიურ ლიტერატურაში პირველად მოგვცა აღდგენითი პერიოდის საქართველოს გლეხობის ბიუჯეტის მეცნიერული ანალიზი.

სარეცენზიო ნაშრომი უნაკლო არ არის. მასში ვხვდებით ცალკეულ არაზუსტ და მცდარ დებულებებს, რომლებიც ყურადღების მიქცევას, დაზუსტებასა და შესწორებას საჭიროებენ. მაგალითად, ავტორი ერთ შემთხვევაში წერს: „სამხედრო კომუნიზმის“ გაუვლელად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას საქართველოში მოყვა დადებითი შედეგები. ამ დადებით შედეგთა შორის უნდა აღინიშნოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის, რომელიც შეიქმნა მეწმენეკური დიქტატურისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდგომი განმტკიცება ახალ, ეკონომიურ საფუძველზე“ (გვ. 140), ხოლო მეორე ადგილას აღნიშნავს: „ამრიგად, ქალაქის და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას საქართველოში სასურსათო გადასახადმა სრულებით ვერ შეუწყო ხელი“ (გვ. 144). ავტორის პირველი დებულება სწორია, მეორე კი მცდარია. მცდარია იმიტომ, რომ სასურსათო გაწერიდან გადასახადზე გადასვლა ხელს უწყობდა საქონელბრუნვის გაძლიერებას, გლეხის სამეურნეო დაინტერესებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ საფუძველზე დაიწყო სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა და განმტკიცდა ეკონომიური კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. ამ ორ ძირითად კლასს შორის კავშირის განმტკიცება კი პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცის საფუძველია.

საქართველოში რევოლუციური კომიტეტის საქმიანობის დახასიათებისას სარეცენზიო ნაშრომის ავტორი აღნიშნავს: „საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გატარებულმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ი. სტალინს, ს. ორჯონიკიძეს, ფ. მახარაძეს და სხვა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს 1924 წლის აგვისტოში მომხდარი აჯანყება გლეხთა აჯანყებად მიუჩნევიათ, რაც სწორი არ არის. მოგვყავს ამონაწერი ი. სტალინის შრომიდან. სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქართველოში მეწმენეკების მეთაურობით მომხდარი აჯანყება გლეხური, ხალხური კი არა, ბუტაფორიული გამოსვლები იყო. აი რას წერს ი. სტალინი ამის შესახებ: „ჩვენს გაზეთებში წერენ ბუტაფორიულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან, საერთოდ, აჯანყება საქართველოში ხელოვნური, არა ხალხური იყო. მაგრამ ზოგიერთ ადგილას, იმის გამო, რომ კომპარტია ცუდად იყო დაკავშირებული მასასთან. მეწმენეკებმა შესძლეს აჯანყებაში ჩაეთრიათ გლეხთა მასის ნაწილი“ (ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 351).

ნაშრომში განვითარებული ზოგიერთი მოსაზრება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ნაშრომში ნათქვამია: „შეუძლებელი გახდებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, თუ ბურჟუაზია შეინარჩუნებდა ისეთ ბასრ იარაღს, როგორიცაა პრესა. ამიტომ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამარჯვების პირველ დღეებშივე აკრძალა მენშევიკური და სხვა აშკარად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული გაზეთები“ (გვ. 436). ახლა გადავალოთ თვალი ნაშრომის 508-ე გვერდს. იქ წერია: „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში სოკოსავით გამრავლდა ბურჟუაზიული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც... სწამოავდნენ ახალგაზრდობას, ავრცელებდნენ იდეალიზმის მოდურ მიმდინარეობათა იდეებს საქართველოში“ (გვ. 508). როგორ უნდა შევთანავსოთ ეს დებულებები ერთმანეთთან, რომელი მათგანია სწორი? არც ერთი. საჭიროა ვიცოდეთ, რომ საბჭოთა მთავრობამ რუსეთშიც და საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დიდი ლმობიერება და სულგრძელობა გამოიჩინა და არ აკრძალა ბურჟუაზიული და მენშევიკური გაზეთები. რევოლუციურმა კომიტეტმა მენშევიკებს წინადადება მისცა ლოიალური ყოფილიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და თავიანთ განკარგულებაში მყოფი გაზეთები არ გამოეყენებინათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. მაგრამ მენშევიკებმა ეს წინადადება არათუ არ მიიღეს, არამედ საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს და ამ მიზნით გამოიყენეს თავიანთი პრესა. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საკმაოდ დიდი ხნის გავლის შემდეგ მოხდა მენშევიკური გაზეთების დახურვა და მენშევიკების პარტიის ლიკვიდაცია.

დასასრულ, არ შეიძლება გაკვრით მაინც არ შევჩერდეთ საარეცენზიო ნაშრომის კიდევ ერთ ნაკლზე. ავტორი აღნიშნავს ფილოსოფიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ადრინდელ შრომებში განვითარებულ იდეალიზმის ფაქტს, მაგრამ არაფერს წერს მათ დამსახურებაზე, რის გამო მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა ქართველმა ფილოსოფოსებმა თითქოს მხოლოდ შეცდომებით აღსავსე ნაშრომები დაწერეს. ნამდვილად კი მათ მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები მოგვცეს და ახლაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ჩვენი კულტურის განვითარებისათვის.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, სარეცენზიო ნაშრომი საერთოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. მასში სწორად არის ასახული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის როლი, მათი ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენითს პერიოდში.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი საკითხების შესწავლისა და გაშუქებისას არ ცდილობს გატკივნილი, სხვის მიერ ავლილი გზით იაროს. არამედ ღრმად სწვდება და მეცნიერულად ასაბუთებს თემის ძირითად საკითხებს და მის გარშემო თავის გაბედულ სიტყვას ამბობს.

დოც. ი. კაჭარავას ნაშრომი „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“ წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაძენს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შეწყდეს არაბეთის ქვეყნების საქმეებში კოლონიზაციორთა შეიარაღებული ჩარევა!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

პეკინი, 17 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეიარაღებული ჩარევის შესახებ ლიბანის საქმეებში. განცხადებაში ნათქვამია:

15 ივლისს, აშკარად დაარღვიეს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპები „ამერიკელ მოქალაქეთა დაცვისა“ და „ლიბანის სუვერენიტეტის შენარჩუნების“ საბაბით, შეერთებულმა შტატებმა ლიბანში გაგზავნეს თავისი სადესანტო ჯარები და ახორციელებენ შეიარაღებულ ჩარევას ლიბანის საშინაო საქმეებში. ეს ამერიკის შეერთებული შტატების მეტად სერიოზული სამხედრო ავანტიურაა, რომლის მიზანია ჩაახშოს არაბ ხალხთა მოძრაობა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და შექმნას საერთაშორისო დაძაბულობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩინელი ხალხი გადაჭრით გმობენ ამერიკის აგრესიას და სერიოზულ პროტესტს აცხადებენ ამასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული ინტერვენცია მოეწყოთ ლიბანის მიმართ, მაგრამ მათ ვერ განახორციელეს ეს ზრახვები მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ამას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ არაბი ხალხები, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები და ხალხები. ახლა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთვნული დამოუკიდებლობისათვის ერაყის მოძრაობაში მიღწეულმა დიდმა გამარჯვებამ საფუძველი შეუქმნა კოლონიზატორთა ბატონობას შუა აღმოსავლეთში, ამერიკის შეერთებული შტატების განრისხებული და შეშფოთებული მთავრობა იქამდე მივიდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტის წინააღმდეგ აშკარად დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში, და ამასთან ცდილობს შეიჭრას იორდანიაში და საფრთხე შეუქმნას ერაყის რესპუბლიკას. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი აგრესიული აქტი არა მარტო თავხედური პროვოკაციაა არაბ ხალხთა მიმართ, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის დასავლეთ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ისეთი საბაბი, როგორიც არის „თავის მოქალაქეთა დაცვა“ და „ლიბანის სუვერენიტეტის შენარჩუნება“, სრულიადაც ვერ დაფარავს ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა აგრესიულ მოქმედებას. ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ და ხალხმა გადაჭრით უნდა მოითხოვოს ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ლიბანიდან და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პროვოკაციათა აღკვეთა.

ყველა ხალხს აქვს უფლება აირჩიოს თავისი მთავრობა და შეუწყნარებელია ჩარევა. ამერიკელი იმპერიალისტების შეიარაღებული ინტერვენცია არაბ ხალხთა მიმართ აუცილებლად ჩაიფუშება.

ლიბანელი, ერაყელი და ყველა არაბი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის იზოლირებული ბრძოლა რომია. აზიისა და აფრიკის ხალხებთან ერთად, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასა და ხალხთან ერთად ექვსასი მილიონი ჩინელი ხალხი ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას. თუ ამერიკის შეერთებული შტატები უარს იტყვიან დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავისი აგრესიული ჯარები ლიბანიდან, მოიმკიან მწარე ნაყოფს, რომელიც თვითონვე მოჰყავთ.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს დღეევანდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა განმარტა თავისი რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამართლებს და იწონებს ამერიკის ჯარების შეყვანას ლიბანში. ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ ლოჯი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის ჯარების მიერ ლიბანის ოკუპაცია თითქოს შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და შეეძლოს ხელი შეუწყოს მეთვალყურეთა ჯგუფისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას. ამასთან მან ის დაიმოწმა, რომ ამერიკის ჯარებს ლიბანში მითითება აქვთ მიცემული კონტაქტი დაამყარონ მეთვალყურეებთან და ითანამშრომლონ მათთან. მაგრამ უშიშროების საბჭოს წევრებისათვის უკვე ცნობილია მეთვალყურეთა ჯგუფის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ მეთვალყურენი კონტაქტს ვერ დაამყარებენ უცხოეთის ჯარებთან, თუ არ გადაუხვიეს თავის რწმუნებებს. ლოჯი ფარისევლურად აქებდა მეთვალყურეთა ჯგუფის ღონისძიებებს, მაგრამ მთლიანად უგულებელყო ამ ჯგუფის დასკვნები.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის რეზოლუციის პროექტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ასეთი რეზოლუციის მიღება იმის მომასწავებელი იქნება, რომ მოიწონოს აგრესიის აქტი ლიბანელი ხალხის წინააღმდეგ და არაბთა სხვა ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი არც კი ცდილა უარეყო ფაქტები, რომლებიც საბჭოთა წარმომადგენელმა მოიყვანა ლიბანში ამერიკის ჯარების შეყვანის საკითხის არსის გამო. ამის ნაცვლად ლოჯმა გაიმეორა გაცვეთილი ცილისმწამებლური მონაჭორი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც მას არა ერთხელ უთქვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

იაპონიის წარმომადგენელმა არსებითად მხარი დაუჭირა ამერიკის რეზოლუციას, თუმცა ამასთან რამდენიმე შენიშვნა გააკეთა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მოკლე შენიშვნები გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლის გამო. არსებითი პასუხის ნაცვლად, თქვა სობოლევმა, ლოჯმა ამჯობინა კვლავ გამოეყენებინა ძველი მასალები და შპარგალები, რომლებიც შეიცავენ სიცრუეს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ფაქტებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის „ჩარევის“ შესახებ ლიბანის საშინაო საქმეებში, ფაქტებს, რომლებიც აღებულია რაღაც საიდუმლო წყაროებიდან, ხაზგასმით აღნიშნა სობოლევმა, საკვირველია, თუ დღემდე რატომ არ გადასცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს „ფაქტები“ შესამოწმებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფს, რომელიც ლიბანში იმყოფება.

უშიშროების საბჭოს სხდომა შემდეგ შეწყდა დღის 3 საათამდე ნიუ-იორკის დროით (22 საათამდე მოსკოვის დროით).

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს დღის სხდომის დასაწყისში გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ლუტფი. შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის გამოსვლას, რომელმაც გაიმეორა ბრალდებანი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიმართ ლუტფიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ბრალდებანი არ შეესაბამება ფაქტებს და ბათილდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა დასკვნებით. ლუტფიმ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის გამოსვლამ უშიშროების საბჭოში ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანში ვერაფერი ვერ გაამართლებს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა წაიკითხა ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარის დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ლიბანის პარლამენტისათვის, რომელიც ლიბანელი ხალხის სუვერენული ნების ერთადერთი გამომხატველია, არც კი შეუტყობინებიათ ამერიკის ჯარების გადასხმა. ამერიკის შეერთებული შტატების ეს აქცია დეპეშაში დახასიათებულია როგორც „ლიბანის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფა“. მე მოვითხოვ, აცხადებს ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარე, დაუყოვნებლივ გაიყვანონ ამერიკის ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან.

ლუტფიმ საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ინტერვენციამ ლიბანში შეაშფოთა და აღაშფოთა მთელი მსოფლიო. მან, კერძოდ, წაიკითხა ნერუს განცხადება იმის შესახებ, რომ ლიბანის ამბები ლიბანელთა საშინაო საქმეა და რომ გარეშე ძალების ჩარევა ამ საქმეში საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი, რომელმაც წაიკითხა ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ ერთი საათით შეწყვიტა სხდომა, რათა საბჭოს წევრებს მისცემოდათ შესაძლებლობა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრები შეტანილი რეზოლუციების პროექტების შესწორებათა შესახებ.

უშიშროების საბჭოს დღის სხდომის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან გაიმართა ამერიკელ მოქალაქეთა მასობრივი დემონსტრაცია, რომელნიც პროტესტს აცხადებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ ლიბანში. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგით: „ხელები შორს ლიბანისაგან“.

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗᲐ-ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲨᲘ

ლონდონი, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს თემთა პალატაში ლეიბორისტული ოპოზიციის მოთხოვნით დაიწყო კამათი ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობაზე ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციასთან დაკავშირებით. კამათში პირველი გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი.

იგი ყოველნაირად ამართლებდა ამერიკის აგრესიას ლიბანში. ლოიდის სიტყვებიდან ჩანდა, რომ ინტერვენციის ნამდვილი მიზეზი გახდა იმპერიალისტური წრეების მისწრაფება ყოველგვარი საშუალებით შეინარჩუნონ თავისი პოზიციები არაბთა ქვეყნებში, რომლებიც მდიდარია ნავთობის საბადოებით. ლოიდს შემოხვევით როდი უთქვამს, რომ სწორედ „ერაყში გადატრიალების შემდეგ (ე. ი. როცა ახლო აღმოსავლეთში ნავთობით მდიდარი ამ ქვეყნის ხალხი თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად აღდგა. — რედ.) ცხადი გახდა, რომ მეთვალყურეთა ჯგუფი ლიბანში ვერ უზრუნველყოფს ლიბანის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას“ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს გაეგზავნათ თავისი ჯარები, რათა დაეცვათ ამერიკელთა სიცოცხლე და ჯარების იქ ყოფნით წაეხალისებინათ ლიბანის მთავრობა“.

ლოიდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ლიბანში ინტერვენციის საკითხი განიხილა ინგლისის მთავრობასთან. „და ჩვენ დავეთანხმეთ ამ აქციას“, — განაცხადა ლოიდმა.

დაუშვა რა მთელი რიგი გამოხდომანი ლიბანელი ხალხის მიმართ, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, ლოიდმა განაცხადა, რომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია უაღრესად მჭიდრო კონტაქტი იქონიოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და რომ იგი უფრო გვიან დღეს აპირებს გაფრინდეს ვაშინგტონს მოსალაპარაკებლად დალესის მიწვევით.

ოპოზიციის წარმომადგენლები ლოიდს სიტყვას აწყვეტინებდნენ აღშფოთებული შეძახილებით.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ ოპოზიცია დიდად შეაშფოთა შუა აღმოსავლეთში შექმნილმა მდგომარეობამ. მან აზრი გამოთქვა, რომ სარისკოა ლიბანის საქმეებში ჩარევა, „როცა ლიბანში სამოქალაქო ომი წარმოებს“. მან აღნიშნა, რომ ამერიკის ინტერვენცია არ შეძლება გამართლებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დამოწმებით.

ოპოზიციის ლიდერმა მოიგონა დასწრეთ, რომ უშიშროების საბჭო უკვე იხილავს მდგომარეობას ლიბანში და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მოხსენებამ შექმნა იმის იმედი, რომ ლიბანელი ხალხი ფაქტიურად „მოაწესრიგებს თავის უთანხმოებას“.

ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ ამერიკის ინტერვენცია ლიბანში საბოლოო ანგარიშით „ზიანს მოუტანს დასავლეთის ინტერესებს შუა აღმოსავლეთში“.

ჩვენ სერიოზულად შეშფოთებული ვართ შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ამერიკისა და ინგლისის ჩარევის შესაძლებლობის გამო, განაცხადა შემდეგ ჰეიტსკელმა. მან განმარტა, რომ გულისხმობს ერაყსა და იორდანიას.

ჰეიტსკელმა გააფრთხილა მთავრობა, რომ ლეიბორისტული ოპოზიცია „არ შეუწყობს ხელს ინგლისის ჯარების გამოყენებას იორდანიის მთავრობის დასახმარებლად ერაყის აჯანყების ჩაქრობაში“. ჰეიტსკელის ამ სიტყვებს ლეიბორისტები მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

ამავე დროს, ჰეიტსკელმა იმედი გამოცრუა თავის მომხრეებს იმით, რომ არ მოითხოვა ოპოზიციის სახელით ქენჭისყრა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე, ახსნა რა ეს „შუა აღმოსავლეთის ამბების გაურკვეველი ხასიათით“. ჰეიტსკელმა თქვა, რომ, „მიუხედავად ლეიბორისტთა სერიოზული შეშფოთებისა ამერიკის მთავრობის მოქმედებასთან დაკავშირებით“, ოპოზიცია არ მოითხოვს კენჭისყრას, „თუ რაიმე ახალი ამბებმა არ გვაიძულა გადავსინჯოთ ჩვენი პოზიცია“.

კამათი გრძელდება.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პეკინი, 17 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეიარაღებული ჩარევის შესახებ ლიბანის საქმეებში. ეს ამერიკის შეერთებული შტატების მეტად სერიოზული სამხედრო ავანტიურაა, რომლის მიზანია ჩაახშოს არაბ ხალხთა მოძრაობა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და შექმნას საერთაშორისო დაძაბულობა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩინელი ხალხი გადაჭრით გმობენ ამერიკის აგრესიას და სერიოზულ პროტესტს აცხადებენ ამასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული ინტერვენცია მოეწყოთ ლიბანის მიმართ, მაგრამ მათ ვერ განახორციელეს ეს ზრახვები მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ამას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ არაბი ხალხები, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები და ხალხები. ახლა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთვნული დამოუკიდებლობისათვის ერაყის მოძრაობაში მიღწეულმა დიდმა გამარჯვებამ საფუძველი შეუქმნა კოლონიზატორთა ბატონობას შუა აღმოსავლეთში, ამერიკის შეერთებული შტატების განრისხებული და შეშფოთებული მთავრობა იქამდე მივიდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტის წინააღმდეგ აშკარად დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში, და ამასთან ცდილობს შეიჭრას იორდანიაში და საფრთხე შეუქმნას ერაყის რესპუბლიკას. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი აგრესიული აქტი არა მარტო თავხედური პროვოკაციაა არაბ ხალხთა მიმართ, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის დასავლეთ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ისეთი საბაბი, როგორიც არის „თავის მოქალაქეთა დაცვა“ და „ლიბანის სუვერენიტეტის შენარჩუნება“, სრულიადაც ვერ დაფარავს ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა აგრესიულ მოქმედებას. ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ და ხალხმა გადაჭრით უნდა მოითხოვოს ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ლიბანიდან და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პროვოკაციათა აღკვეთა.

ყველა ხალხს აქვს უფლება აირჩიოს თავისი მთავრობა და შეუწყნარებელია ჩარევა. ამერიკელი იმპერიალისტების შეიარაღებული ინტერვენცია არაბ ხალხთა მიმართ აუცილებლად ჩაიფუშება.

ლიბანელი, ერაყელი და ყველა არაბი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის იზოლირებული ბრძოლა რომია. აზიისა და აფრიკის ხალხებთან ერთად, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასა და ხალხთან ერთად ექვსასი მილიონი ჩინელი ხალხი ყოველი ღონისძიებით დაუჭერს მხარს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას. თუ ამერიკის შეერთებული შტატები უარს იტყვიან დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავისი აგრესიული ჯარები ლიბანიდან, მოიმკიან მწარე ნაყოფს, რომელიც თვითონვე მოჰყავთ.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲪᲜᲝ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

პეკინი, 16 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ცნოს ერაყის რესპუბლიკა.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲪᲜᲝ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

პრაღა, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შიროკიმ გაუგზავნა დეპეშა ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს აბდელ ქერიმ კასემს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად ცნობს ერაყის რესპუბლიკის მთავრობას და მზად არის დაუყოვნებლივ დაამყაროს ორივე ქვეყანას შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ ᲪᲜᲝ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ბუქარესტი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კიბუ სტოიკამ ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს გენერალ აბდელ ქერიმ კასემს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად ცნობს ერაყის რესპუბლიკის გამოცხადებას და გამოთქვამს რწმენას, რომ ერაყის ახალი სახელმწიფო ემსახურება შუა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲔᲠᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დელი, 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ სიტყვა წარმოთქვა ალაბამადის უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე და განაცხადა, რომ თუ გარეშე ძალები ჩაერევიან ლიბანის ან ერაყის საქმეებში, მაგრამ იგი უაღრესად დაინტერესებულია ამბებით, რომლებიც ამ სახელმწიფოებში ხდება. ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბანისა და ერაყის ამბები საშინაო ამბებია. თქვენ შეგიძლიათ, თქვა მან, მათ უწოდოთ სამოქალაქო ომი.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ვაშინგტონი, 16 ივლისი. (საკდესი). 15 ივლისს საღამოს თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ტექსტი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სპეციალური წერილისა კონგრესისადმი, რომელშიც იგი ცდილობს გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ლიბანში. ისე როგორც თეთრი სახლის განცხადება ლიბანის ტერიტორიაზე ამერიკის ჯარების გადასხმის გამო, წერილი შეიცავს მტკიცებას, რომ ეს აგრესიული აქტი თითქოს განხორციელდა როგორც „საჭირო ღონისძიება“ „სამართლიანობისა და საერთაშორისო კანონიერების“ პრინციპების დასაცავად. „ამერიკის შეიარაღებული ძალები, — ნათქვამია წერილში, — იგზავნებიან ლიბანში, რათა დაიცვან ამერიკელთა სიცოცხლე და თავისი იქ ყოფნით დაეხმაროს ლიბანის მთავრობას შეინარჩუნოს ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისათვის“.

წერილიდან ჩანს, რომ ისლო აღმოსავლეთში ამერიკის ჯარების გადასხმის საბაბი იყო არა იმდენად მდგომარეობა ლიბანში, რამდენადაც იმპერიალიზმის აგენტების დამხობა ერაყში, რასაც წერილში შერქმეული აქვს „ძალადობის აფეთქება ბაღდადში“.

წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლიბანში გაგზავნიან თავისი ჯარების დამატებითს კონტინგენტებს.

იმავე საღამოს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. თავის გამოსვლაში მან არსებითად გაიმეორა წინათ გამოთქმული „მოსაზრებანი“, რომელთა მიზანია გაამართლონ ამერიკის შეერთებული შტატების დაუფარავი აგრესია ლიბანში. პრეზიდენტი შეეცადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია გაესაღებინა „კოლექტიური უშიშროების ღონისძიებად თავდაცვის მიზნით“. იგი ამტკიცებდა, რომ ეს „ღონისძიება“ აუცილებელია ეითომდა „ლიბანის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის“ დასაცავად.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს დღეევანდელ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა განმარტა თავისი რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამართლებს და იწონებს ამერიკის ჯარების შეყვანას ლიბანში. ყოველგვარი ლოგიკის წინააღმდეგ ლოჯი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის ჯარების მიერ ლიბანის ოკუპაცია თითქოს შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და შეეძლოს ხელი შეუწყოს მეთვალყურეთა ჯგუფისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას. ამასთან მან ის დაიმოწმა, რომ ამერიკის ჯარებს ლიბანში მითითება აქვთ მიცემული კონტაქტი დაამყარონ მეთვალყურეებთან და ითანამშრომლონ მათთან. მაგრამ უშიშროების საბჭოს წევრებისათვის უკვე ცნობილია მეთვალყურეთა ჯგუფის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ მეთვალყურენი კონტაქტს ვერ დაამყარებენ უცხოეთის ჯარებთან, თუ არ გადაუხვიეს თავის რწმუნებებს. ლოჯი ფარისევლურად აქებდა მეთვალყურეთა ჯგუფის ღონისძიებებს, მაგრამ მთლიანად უგულებელყო ამ ჯგუფის დასკვნები.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მკვეთრად გააკრიტიკა ამერიკის რეზოლუციის პროექტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ასეთი რეზოლუციის მიღება იმის მომასწავებელი იქნება, რომ მოიწონოს აგრესიის აქტი ლიბანელი ხალხის წინააღმდეგ და არაბთა სხვა ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი არც კი ცდილა უარეყო ფაქტები, რომლებიც საბჭოთა წარმომადგენელმა მოიყვანა ლიბანში ამერიკის ჯარების შეყვანის საკითხის არსის გამო. ამის ნაცვლად ლოჯმა გაიმეორა გაცვეთილი ცილისმწამებლური მონაჭორი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც მას არა ერთხელ უთქვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

იაპონიის წარმომადგენელმა არსებითად მხარი დაუჭირა ამერიკის რეზოლუციას, თუმცა ამასთან რამდენიმე შენიშვნა გააკეთა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მოკლე შენიშვნები გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლის გამო. არსებითი პასუხის ნაცვლად, თქვა სობოლევმა, ლოჯმა ამჯობინა კვლავ გამოეყენებინა ძველი მასალები და შპარგალები, რომლებიც შეიცავენ სიცრუეს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ ფაქტებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის „ჩარევის“ შესახებ ლიბანის საშინაო საქმეებში, ფაქტებს, რომლებიც აღებულია რაღაც საიდუმლო წყაროებიდან, ხაზგასმით აღნიშნა სობოლევმა, საკვირველია, თუ დღემდე რატომ არ გადასცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს „ფაქტები“ შესამოწმებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფს, რომელიც ლიბანში იმყოფება.

უშიშროების საბჭოს სხდომა შემდეგ შეწყდა დღის 3 საათამდე ნიუ-იორკის დროით (22 საათამდე მოსკოვის დროით).

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს დღის სხდომის დასაწყისში გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ლუტფი. შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის გამოსვლას, რომელმაც გაიმეორა ბრალდებანი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიმართ ლუტფიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ბრალდებანი არ შეესაბამება ფაქტებს და ბათილდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა დასკვნებით. ლუტფიმ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის გამოსვლამ უშიშროების საბჭოში ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანში ვერაფერი ვერ გაამართლებს.

ᲓᲘᲑᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის განცხადება, რომელშიც განმარტებულია მიხი პოზიცია ლიბანში ამერიკის ჯარების გადასხმასთან დაკავშირებით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფი არ აპირებს დაამყაროს კონტაქტი ან ითანამშრომლოს „ოფიციალური ან არაოფიციალური წესით არალიბანის ჯარებთან ლიბანში“. მეთვალყურეთა ჯგუფის ამ პოზიციას, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, ვერავინ ვერ შეცვლის, გარდა უშიშროების საბჭოსი, რომელმაც გასულ თვეში გაგზავნა იგი ამ რაიონში.

კომენტარს უკეთებს რა ამ განცხადებას, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლოჯმა გუშინ უშიშროების საბჭოში განაცხადა, რომ ამერიკის ჯარებს ლიბანში მიცემული აქვთ ინსტრუქცია განახორციელონ „ურთიერთმოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებთან და დაამყარონ მათთან კონტაქტი გადასხდომისთანავე.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ლონდონი, 17 ივლისი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს მოულოდნელად მოიწვიეს ინგლისის კაბინეტის სხდომა, რომელმაც ორ საათზე მეტს გასტანა და ნაშუაღამევს დამთავრდა. პრემიერ-მინისტრი მაკმილანი და კაბინეტის რამდენიმე წევრი ერთხანს კიდევ დარჩნენ წამოჭრილი საკითხების განსახილველად.

პრეს ასოშიეიშნის სააგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი ფი